ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება №1-064

აბაშა, 2020 წლის 19 ოქტომბერი

თამაზ შოთაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 43-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №2 დადგენილების შესაბამისად და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის 2020 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილების (სხდომის ოქმი № 3- 09.10.2020) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს თამაზი შოთაძე (კონკურსის შედეგად) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის-საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.
2. თამაზ შოთაძის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი ნორმატიული აქტით (დადგენილებით).
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი